პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 136 (18378) ხუთშაბათი, 10 ივნისი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

„მოსავალი — 82"

ალაზანზე ყანა გაიჭრა

** წითელწყაროს. (საკ. კორ.).** ალაზანის ველზე ქერის ყანები დამწიფდა. გამოდმებული წვიმა კი მისი აღების საშიშროებას არ იძლეოდა.

ერთი დღის მეცხრამეტე საათზრო მინდორი და ამინდს დადარაჯებული კომბაინერები მაშინვე მკას შეუდგნენ.

სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში ხუთი კომბაინი ერთდროულად შეეყარა 100 ჰექტარამდე ნაკვეთში და დაახლოებით 40 ჰექტარი ჯათავისუფლა მოსავლისაგან.

ორავითარი შეფერხება აგრეგატებს! მათ ისეთი გამოცდილი მექანიზატორები მართავენ, როგორიც ამირან იაკობაშვილი, ელიზბარ ყოჩაშვილი და სხვა ოსტატებია. კალოს მათი მარჯვენის ბარაქა დაეტყო.

ეს მესამე წელია ჯაფარიძელები ალატოვოელთა მეთოდით მუშაობენ. კომბლექსურად მიმდინარეობს მკა, ნამკის შეგროვება და გამოზიდვა, ნაწვეარალის ხვნა და სანაწვეროლო სიმინდის თესვა. მექანიზატორთა და ავტომძღოლთა ჯგუფი, რომელებიც ხუთი კომბაინი, 5 ავტომანქანა, სამი სახნავი ტრაქტორი, ერთი სათესი და ერთი ნამკის საწნები მანქანა გამართეს, ზომიერად, წინასწარ შედგენილი გეგმა-გრაფიკით ასრულებს სამუშაოებს, ერთნაირად ინაწილებს შრომის საზღაურს.

და აი, სწორედ მარჯვე მექანიზატორების ზაქარია ბურიკაშვილს, სეგეროიანე სიხნიაშვილს, ავტომძღოლების ბაღვა ეუზუნაშვილს, ვარლამ იაკობაშვილს ამ კომპლექსური რგოლის ყველა წევრის თავდადებული მუშობის შედეგია, რომ მოსავლის აღება, ნაკვეთის გაწმენდა, სანაწვეროლ ხვნა და თესვა ერთდროულად ხდება.

— წლეულს ალაზანზეც ... მაგალითისამებრ ... ავიღებთ ჰექტარს მოსავალს, საშუალოდ ჰექტარზე 30-35 ცენტნერ მარცვლეულ გავლეწავთ, 600 ჰექტარ ნაწვეროლზე დავთესავთ სიმინდს და სხვა სანაწვეროლო კულტურას, — გვითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ნ. ყოჩაშვილმა.

ჯაფარიძელებმა გუშინ რაიონის ხელმძღვანელებს უპატაკეს, რომ შესრულებულია სეზეიის ჩადების გეგმა — დამზადებულია 2900 ტონა.

ვ. მჭედლიშვილი.

ამიზნობრივი გავხადოთ შრომითი მეტოქეობა

ბოლო ინდუსტრიული საქართველოს მშრომელების ყოველდღიური საქმიანობის მიზანი ის არის, რომ ამაოქმედონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ყველა შინაგანი რეზერვი, მთლიანად გამოიყენონ დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ პირობებში მეურნეობრიობის უპირატესობანი, და ბოლოს, ვადამდე შეასრულონ როგორც მიმდინარე სამეურნეო წლის, ისე მთელი მეთრამეტე ხუთწლედის დავალებანი.

სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის მიმდინარეობაზე, როგორც ეს ხაზგასმით აღინიშნა, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების პირველ რესპუბლიკურ კრებაზე, ჩვენი მოქმედების კარდინალური სტრატეგიული ამოცანაა დაძლიოთ რესპუბლიკის ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონისაგან, დავწინაურდეთ ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი არსებითი მაჩვენებლის მიხედვით.

„ეკონომიკის ალმაღლობის მძლავრი ბერკეტი, — აღნიშნა ამ კრებაზე ამხანაგმა ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძემ, — სოციალისტური შეჯიბრება, რომელსაც სათავეში უნდა ჩაუდგნენ პარტიული ორგანიზაციები. შრომითი მეტოქეობის ატმოსფეროს შექმნა დიდმნიშვნელოვანი პარტიული საქმეა". ამ შეჯიბრების მაღალ დონეზე მონაწილეობა განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს მსხვილ საწარმოთა, სახელდობრ, გაერთიანებათა მრავალრიცხოვან კოლექტივებში.

საწარმოო გაერთიანებები, როგორც, თავისთავად, მეურნეობრიობის ახალი ფორმა, ფარნო ასპარეზს სახავენ ჩვენი ეკონომიკის უპირატესობათა უფრო სრული გამოვლენისათვის. აქ უფრო თანამიმდევრულად ხორციელდება წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია, უფრო მტკიცეა კავშირი მეცნიერებასთან, ფართოა ტექნიკური პროგრესის ნაბიჯი, რასაც, ცხადია, ხელს უწყობს სოციალისტური შეჯიბრება.

მეათე ხუთწლედის მანძილზე გაერთიანებებმა, რომლებიც სამრეწველო პროდუქციის მეტ ნილს უშვებენ, შრომითი მეტოქეობის ორგანიზაციის საგულისხმო გამოცდილება შეიძინეს, მისი მნიშვნელობა უნინარეს ყოვლისა ის არის, რომ იგი შეჯიბრების მონაწილეებს ასწავლის იმოქმედონ ერთსულოვნად, კომპლექსურად გადაწყვეტონ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების ამოცანები. ახალი და საგულისხმო ამ სახალხო ლაშქრობაში ის გახლავთ, რომ გაერთიანებები და საწარმოები ითვალისწინებენ მეთერთმეტე ხუთწლედში და უფრო შორეული პერსპექტივისათვის მათ წინაშე დასახული ამოცანების მრავალფეროვნებასა და სირთულეს, განსაკუთრებულ ყურადღებას უმობენ სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკითხს და ამიტომაც გაჰაერეს სოციალისტური შეჯიბრება როგორც დარგში, რესპუბლიკაში, ისე ქვეყანაში საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის (სოციალისტური შეჯიბრების პირობები, როგორც ცნობილია, ამას წინათ გამოქვეყნდა პრესაში) ამ თვალსაზრისით მისაბაძ მაგალითს გვიჩვენებენ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, „ანანურის" სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „მოონისა" და ქარხნის, ! მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკისა და სხვათა კოლექტივები.

საგულისხმოა თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრონის" მაგალითი. შრომითი მეტოქეობის ორგანიზაციისა და წარმართვის სრულყოფისათვის აქ შექმნილია გაერთიანების სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის ცენტრალური შტაბი, რომლის თავმჯდომარეა გაერთიანების გენერალური დირექტორი. ასეთივე შტაბები შექმნილია გაერთიანებაში შემავალ ყველა ფაბრიკასა და საამქროში. შემოშვებულია მოქმედების ერთიანი დებულება, რომლის ძირითადი მაჩვენებლებია საწარმოო გეგმების შესრულება და პროდუქციის რაოდენობა ცალობით, შრომის ნაყოფიერების ზრდა, ხელფასის ფონდის ეკონომია, სამუშაო დროის დანაკარგები თითოეულ მუშაზე, უმიზეზო გაცდენები, ადმინისტრაციის ნებართვით დაოსოფვების რაოდენობა, სრული დღის მოცდენების რაოდენობა, საწარმოო ტრამვმატიზმის შემთხვევები, კადრების დენადობის შემცირება, სპორტულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა და სხვ. ერთი სიტყვით, — მოიცვა რა კომპლექსის ყველა რგული, მართვის ახალმა სისტემამ შეჯიბრების მონაწილეებს მიზნად დაუსახა გაეძლიერებინათ პასუხისმგებლობა ვალდებულებების მოლებისათვის. გაერთიანებაში გაბოორეულდა მონაწილეობის გაბანდების, ტექნოლოგიის სრულყოფის ათობით ღონისძიება, ყველა დანადგარისათვის შემოღებულია ეფექტიანობის პასპორტი, რაც თითოეული კოლექტივის წელილის ობიექტური შეფასების, ჩამორჩენის უსწრაფესი დაძლევის შესაძლებლობას იძლევა.

მოქმედების ამგვარი ერთიანობის მდღნეცვა ყოველთის ადვილი როდი. გაერთიანებაში, როგორც წესი, შედის მთელი რიგი სანარმოები, ზოგიერთი მათგანი შედარებით დამოუკიდებელი, თანაც ერთმანეთისაგან დაშორებულია. ამ სიტუაციაში ზოგჯერ თავს იჩენს ადგილობრივი საზრუნავი. აი, რატომ არის საჭირო გამოვნახოთ ადამიანებთან მუშაობის ისეთი ფორმები, რომლებიც აქტიურად შეუწყობს ხელს კოლექტივების დაახლოებას, მთელი კომპლექსის განვითარებაში შეჯიბრების მონაწილეთა დაინტერესების გაძლიერებას. სწორად იქცევიან იქ, სადაც არ აყოვნებენ შეჯიბრების ერთიანი პირობების გამოყენებას, ეს კი შესაძლებლობას იძლევა უფრო ზუსტად დაისახონ და მიზნობრივი გახადონ შრომითი მეტოქეობა.

გაერთიანებაში განსაკუთრებით შედეგიანი შეიძლება იყოს მოძრაობა დევიზით — „ვიმუშაოთ უჩამორჩენლებოდ!" საიდუმლო რდია, რომ ბევრი ფილიალი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა, ზოგიერთი კი დღესაც ჩამორჩება მეთაურ ქარხნებს ტექნიკური მდგომარეობისა და საქმის ორგანიზაციის დონის მხრივ.

არც ერთი ასეთი ფაქტი უყურადღებოდ არ უნდა დატოვონ პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა. შეჯიბრების წარმართვის საკითხები გაერთიანების პირობებში მუდამ უნდა იყოს პარტიული კომიტეტების თვალთახედვის არეში, ვინაიდან შრომითი მეტოქეობა სუსტი რგოლების დანინაურების ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტია.

ახლა წარმოების ეფექტიანობის გაუმჯობესების საქმეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ნედლეულის ხარჯვის ნორმების ზუსტ დაცვასა და უფრო ყაირათით გამოყენებას. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინეს ქვეყნის მონინავე საწარმოთა კოლექტივებმა, რომელთა გაზიარება, ცხადია, სასურველ ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს. ერთი ასეთთაგანია როსტოვის ოლქის აქსაის საწარმოო გაერთიანების „ქიმპროდუქტების" კოლექტივის მიერ შემოშავებული ნედლეულისა და მასალების ხარჯვის მოქმედი ნორმების ნებაყოფლობითი გადასინჯვის სისტემა.

რა განსაკუთრებული თავისებურებანი უდევს საფუძვლად ამ სისტემას, რომელიც გაერთიანების სპეციალისტებმა შეიმუშავეს? სისტემა ნედლეულისა და მასალების ხარჯვის ნორმების გადასინჯვისას სრულად მოიცავს საზოგადოებრივ და პირად ინტერესებს. ამ ექსპერიმენტმა დაამტკიცა, რომ საამქროებში, უბნებსა და ბრიგადებში უთუოდ უნდა დაინერგოს შიდასაქარხნო სამეფრნეო ანგარიში, მოეწყოს მატერიალურ ფასეულობათა უზადო აღრიცხვა და შენახვა, ფრონლსოდაც რაიმე ეკონომიასა და ნორმების გადასინჯვაზე შემცირების მიმართულებით სერიოზული მსჯელობა არ შეიძლება. ამასთან, გადასინჯვას ექვემდებარება მხოლოდ ტექნიკურად დასაბუთებული ნორმები, რიცა ნანარმის მასალატევადობის შემცირება დამოკიდებულია არა მარტო კონსტრუქტორებზე, ტექნოლოგებსა და ოსტატებზე, არამედ მუშებზეც, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ნედლეულის ხარჯვის პროცესში და ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ რესურსების ყაირათიანი გამოყენებისათვის.

პრაქტიკულად, რიცა საკითხი ეხება რომელიმე ნორმის გადასინჯვას, ყალიბდება ამ საკითხთან დაკავშირებული სპეციალისტებისა და მუშებისაგან დაკომპლექტებული შემოქმედებითი ბრიგადა. ისინი იქმნებიან მხოლოდ ახალი ნორმის შემოშავების პერიოდში. საჭირო განგარიშების შემდეგ ახალ ნორმებს იყენებენ წარმოებაში, ხოლო ერთი თვის შემდეგ მიღებული შედეგისათვის იღებენ გასამრჯელოს.

დებულებაში ჩანერილია: დაზოგილი თანხის ნახევარი (მანეთობით) ეძლევათ ავტორებს, ნორმების გადასინჯვის ინიციატორებს, მეორე ნახევარი გადაირიცხება სოციალურ-კულტურული მიზნებისათვის: საბავშვო დაწესებულებების ასაშენებლად და მოსახმობად, მუშებისათვის სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების დამატებითი საგზურების შესაძენად და სხვ. როსტოველთა ეს გამოცდილება დიდი სიკეთის მომტანია და ამიტომ მისი პრაქტიკაში დანერგვა ჩვენი ბადაუდებელი საქმეა.

გასაგებია, რომ მუშაობის ფორმებისა და მეთოდების ერთიანობის უზრუნველყოფა სრულიადაც არ ნიშნავს შაბლონურად მოქმედებას, პირიქით, ამ საქმეს უფრო სოლიდური, სისტემური, ნამდვილად მეცნიერული საფუძველი უნდა შეეუქმნათ. ამასთან, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ფორმალიზმი შეუწყნარებელია. იგი პირდაპირ ანშობს ამ ცოცხალ საქმეს, ზოგჯერ რიცა ამუშავებენ შრომითი მეტოქეობის პირობებს ან ანყობენ რეზერვების დათვალიერებას, ზოგიერთი ქარხანა-ფილიალი განხე რჩება. ანდა, მაგალითად, ფილიალის მუშებმა გამოიჩინეს სანარგებლო თაოსნობა, გაერთიანებაში კი იგი ვერ შენიშნეს: ვითომდა, ის მასშტაბი არ არისო. მაგრამ განა საქმე მარტო მასშტაბში? საჭიროა, რომ თითოეულ რგოლში იზრდებოდეს ბრუნვა პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის.

ახლა გაერთიანებათა კოლექტივები, ისევე როგორც ქვეყნის სხვა მშრომელები, განსაკუთრებული აღფრთოვანებით მუშაობენ, ცდილობენ ღირსეულად შეხვდნენ სსრ კავშირის შექმნის მეასამეცე წლისთავს, ვადამდე შეასრულონ მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წლის სახელმწიფო დავალებანი.

პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების უპირველესი საზრუნავია ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ კვლავაც არ შენელდეს შეჯიბრების შემოქმედებითი შემართება, ხელი შეუწყონ სამრეწველო კომპლექსების მზარდ შესაძლებლობათა რაც შეიძლება სრულ გამოყენებას, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებას.

საიუბილეო წელს — დამკვრელური შრომის ვახტი!

ვიმუშაოთ დევიზით: ნახევარი წლის გეგმა — ვადაზე ადრე და გადაჭარბებით! ამთავითვე შევეძენათ იმის საფუძველი, რომ წლიური გეგმა 10 თვეში შევასრულოთ!

ზეგეგმითი მანგანუმი

ჭიათურა. (საკ. კორ.). დამკვრელურად შრომობს წლის დამდეგიდან სამთამადნო კომბინატის ახალი ითხვისის მაღაროთა-სამმართველოს კოლექტივი. ამაზე მშვენივრად მეტყველებს ხუთი თვის ეკონომიკური მაჩვენებლები.

წლის დამდეგიდან დღემდე საწარმოში 7,2 პროცენტით ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების შემცირებით დაიზოგა 170 ათასი მანეთი და მეტალურგიული ქარხნებისათვის გაგზავნილი 185 ათასი ტონა მანგანუმის მაღალხარისხოვანი კონცენტრატიდან 8.500 ტონა ზეგეგმითია.

მაღალი მაჩვენებლები მიღწეულია შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების, მატერიალური რესურსების მომჭირე გამოყენების მეოხებით. შრომა ეახტზე პირველობას ერთმანეთს ეცილებიან ცალკეული უბნები, ცალები, კომპლესური ბრიგადები და სამთოელები. შეჯიბრებაში, გამარჯვებულთა დაფაზე მუდმივი ადგილი დაიმკვიდრეს იმ უბნებმა, რომლებსაც ო. ყიფშიძე, დ. ა. საცერაძე მეთაურობენ. მეწინავეობენ მამდიდრებლებიც. ფაბრიკის კოლექტივი სამუშაო გრაფიკს რვა დღით უსწრებს და მაღალი ხარისხის კონცენტრატების გამოსავლიანობის გადიდებისათვის იბრძვის.

ო. ნიჟაბაძე.

სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დამაჯერებელ შედეგებს აღწევს თბილისის ახრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი, რომლის წამყვანი ძალაც ახალგაზრდობაა. შრომითს მეტოქეობაში დაწინაურდა გაერთიანების ასობით მუშაქალი. მათ შორის გახლავთ მქსოველი, საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის დელეგატი ლალი ფანჩულიძე, რომელმაც კარგა ხანია შეასრულა ნახევარი წლის პირადი გეგმა და უმატა შრომის ტემპს.

სურათზე: ლ. ფანჩულიძე.

მ. რუსტომაშვილის ფოტო.

საკოქსე კონცენტრატი

ტყიბული. (საკ. კორ.). არჩევნების აღსანიშნავ შეჯიბრებაში ახალ შრომითს წარმატებას აღწევს „ქვანახშირის ცენტრალური მამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივი (დირექტორი ი. გოგბერაშვილი). იგი ყოველდღიურად ასობით ტონა საკოქსე კონცენტრატს უგზავნის რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას.

მამდიდრებლები დიდი გადაჭარბებით ასრულებენ კონცენტრატის გამოშვების ყოველთვიურ დავალებებს. წლის დამდეგიდან მამდიდრებლებმა გამოუშვეს გაცლენით მეტი საკოქსე ქვანახშირი, ვიდრე ეს სოციალისტური შეჯიბრებით იყო გათვალისწინებული. თებოთეული ხუშის შრომის ნაყოფიერება საგეგმოსთან შედარებით 9,9 პროცენტით გაიზარდა.

ფაბრიკის ყველა საამქრო, ცალა და ბრიგადა გამართულად მუშაობს. მოწინავეთა შორის დაწინაურდა გ. ობოლაძის ცალის კოლექტივი. მას ტოლს არ უდებენ ის ცალები, რომლებსაც ვ. აბესაძე და გ. აბესაძე უდგანან სათავეში. მამდიდრებელთა წარმატებას დიდად შეუწყო ხელი ქვანახშირის გამდიდრების პროცესების მექანიზაციავტომატიზაციამ, ახალი მექანიზმების დამონტაჟებამ და გამდიდრების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებამ.

ვ. ციბრეკიძე.

ა რ ო ბ ა ტ უ ლ ი პ რ ო დ უ ქ ც ი ა

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ნაყოფიერი გარჯითა და კარგი შრომითი მაჩვენებლებით გამოირჩევიან ქალაქის ჩაის საწნები ფაბრიკის მშრომელები. ისინი განსაკუთრებული მონდომებით იღწიან წლეულს — სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის საიუბილეო წელს. ხუთი თვის გეგმის გადამეტებით 856 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდეს მოსახმარებელს. სოციალისტური შეჯიბრების ვაბტუ მდგომმა საწარმოს კოლექტივმა ერთხელ კიდევ გადასინჯა შესაძლებლობანი და საიუბილეო თარიღის ღირსეული შეხვედრის მიზნით გადაწყვიტა მოსახმარებელს წლის ბოლომდე დამატებით კიდევ მილიონი მანეთის პროდუქცია მიაწოდოს.

სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან შავი ბიბაო ჩაის დამფასოებელი საამქროს (უფროსი რ. ნიკაბაძე) მშრომელები, რომელთა თაოსნობის — დეკემბრის ბოლო კვირის მანძილზე დაზოგილი ელექტროენერგიითა და საწვავით იმეორეთ — მთელი ფაბრიკის კოლექტივმა დაუჭირა ბჯარი. შეჯიბრებაში დაწინაურდნენ საწარმოს მოწინავე მუშები ბ. ბერაძე, ც. დარასელია, გ. ცხადია, ფ. ჯოფარიძე და სხვები, რომლებიც ფრთის მნიშვნელოვანი გასწერებით შრომობენ.

რ. რუსია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

მეცხოველეობის განვითარების ინტენსივობისათვის

რესპუბლიკის მეცხოველეებმა, შარშანდელი და მიმდინარე წლის არახელსაყრელი ამინდის პირობებით გამოწვეული სერიოზული სიძნელეებს მოუხდაგად, შესარულეს ზორცის, რძის, კვერცხის შესყიდვის 1982 წლის პირველი კვარტალის დავალება.

მაგრამ პირუტყვის ძნელმა ზამთრობამ და კოკისპირულმა წვიმებმა დასავლეთ საქართველოში რესპუბლიკის მეცხოველეობას სერიოზული ზარალი მიაყენა. 1982 წლის იანვარ-აპრილში დაიღუპა დაახლოებით 4,2 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 95,1 ათასი ცხვარი და თხა, 20,6 ათასი ღორი და გოჭი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1982 წლის სამოვრეულ პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების, 1982-83 წლის ზამთრის პერიოდისათვის საკვების სანარგებლიანი მარაგის შექმნის ღონისძიებანი, იმსჯელეს რესპუბლიკაში საკვების დამზადებისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეში პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების ამოცანებზე და ამასთანავე აღნიშნეს, რომ მეცხოველეობის მოთხოვნილება საკვებზე ჯერ კიდევ სრულად ვერ კმაყოფილდება. მაგალითად, სილოსის წარმოების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 86 პროცენტით, საკვები ძირხვენების და ბაღჩეულისა — 77 პროცენტით, ბალახის ფხვნილისა — 66 პროცენტით.

მთელი რიგი რაიონების მეურნეობებმა თავი ვერ გაართვეს საქონო საქონლის საკვებით საზოგადოებრივი პირუტყვის უზრუნველყოფის გეგმას. იმის გამო, რომ მთელ რიგ მეურნეობათა მუშაკები დაოდგერად ეკიდებიან საქმეს, არ შესრულებულა პროგრესული მეთოდები საკვების დამზადების დაკალმაში. უაღრესად არასაკმარისად იყენებენ ხაწვეროლის და შუალედური კულტურების, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების ნარჩენების წარმოების შესაძლებლობებს.

საკვებით მეცხოველეობის არადამაკმაყოფილებელი უზრუნველყოფა, ტექნიკის ნაკლებობისა და საკვების დამზადების ტექნოლოგიის დარღვევების გარდა, ამითაც ახრს ბოლოვდეო, რომ საკვები კულტურების ნათესები, ბენეფიციალი სათიბ-საძოვრები ჯერ კიდევ არ მარაგდება საჭირო რაოდენობის მინერალური სასუქით, ხოლო რესპუბლიკის მეურნეობები უხვმოსავლიანი საკვები კულტურების თესლის მწვავე დეფიციტს განიცდიდან.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ „საკვებსოფფექნიკა" და მათი ადგილობრივი ორგანოები არ ახორციელებენ ჯეროვან ღონისძიებებს საკვების საამქროებისა და საკვებსაბარეულოების დროული ამოქმედებისათვის.

იმ მიზნით, რომ გადაწყდეს მიმდინარე წლის საძოვრულ პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდისა და შესყიდვის გადიდების უმნიშვნელოვანესი ამოცანები და შეიქმნას საკვების უხვი მარაგი პირუტყვის მომავალი ზამთრობისათვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალეს საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის, მელიორაციისა და წყლითა მეურნეობის სამინისტროებს, „საქმთაგარწყალმშენს", „საქსოფფექნიკას", მეცხოველეობის ფერმების მქონე სხვა უწყებათა-სამინისტროებს, რაიონულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა უთუოდ შესრულდეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსთვის მიყიდვის 1982 წლის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი.

საჭიროა თითოეული მეურნეობისათვის შემუშავდეს კონკრეტული ღონისძიებანი საძოვრულ პერიოდში ზორცისა და რძის წარმოების გასაადიდებლად. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს იმას, რომ შეუფერხებლად უზრუნველყონ პირუტყვი წვნიანი საკვებით საძოვრულ პერიოდში, შექმნან ყოველ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, მეცხოველეობის კომპლექსსა და სამეურნეობათაშორისო გაერთიანებაში ეფექტიანი მწვანე კონვეიერი.

ზოგიერთი რაიონისათვის საკვებით დახმარებისა და მისი დეფიციტის ლიკვიდაციის მიზნით იქმნება უხვი საკვების სადაზღვევო მარაგის რესპუბლიკური ფონდი.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის, მელიორაციისა და წყლითა მეურნეობის სამინისტროებს, „საქმთაგარწყალმშენს", „საქსოფფექნიკას", მეცხოველეობის ფერმების მქონე სხვა უწყებათა-სამინისტროებს, რაიონულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა უთუოდ შესრულდეს მეცხოველეობის პროდუქტების ყველა ბაზის შესაქმნელად მთელი რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოძებნისათვის, მოაწყონ მასობრივი შაბათობანი, კვირაობანი, მეშა და მოსწავლე ახალგაზრდობის დამკვრელური შრომის დეკადები და ერთთვიურები.

გამოიყოფოდ დამატებითი მსუბუქი ავტომობილები, მოტოციკლები იმ ტრაქტორისტ-მემანქანეებისა, ავტომობილის მძღოლებისა, მუშებისა და სპეციალისტებისათვის მისაყიდად, რომლებიც საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწევენ მაღალხარისხოვანი საკვების დამზადებაში.

იმ მიზნით, რომ საკვების დასამზადებლად მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ბუნებრივი, მდინარეების, წყალსატევების, სარწყავ სისტემათა ნაპირების, ტერასების, მრავალწლოვანი ნარგავების, მწვრილთბორისების, ხეგებისა და მექანიზმებისათვის მოემარჯვებელი სხვა ნაკვეთების, აეროდრომებზე, ქალაქებისა და რაიონული ცენტრების პარკების, სკვერებისა და ბაზრების ბალახი, ალოისი ცხადდება საკვების დამზადების დამკვრელურ თვედ.

საკვების დამზადების მაღალორგანიზებული მოწყობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილია რესპუბლიკური შტაბი „საკვები-82" შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: ო. გ. ვარდელაშვილი (ხელმძღვანელი), ი. ი. ხუციშვილი, ო. ვ. მელქაძე, ნ. ა. ფოფხაძე, დ. ვ. სარიშვილი, თ. გ. ს. ტაბანიერი, ლ. ს. ნარბედია, გ. დ. მგელაძე, თ. კ. ჯაბადარი. ანალოგიურად, საქართველოს კომპარტიის ყველა რაიკომსა და საქალაქო კომიტეტში იქმნება საკვების მოსავლის აღების საქმეშათა ორგანიზაციის ხელმძღვანელობის შტაბები, რომლებშიც შედიან პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების პირველი მდივნები, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებათა თავმჯდომარეები, სახალხო კონტროლის რაიონული, საქალაქო კომიტეტების თავმჯდომარეები, საქართველოს აკადემიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების პირველი მდივნები, სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტთან შექმნილია ორი ოპერატიული ჯგუფი, რომელშიც შედიან სახალხო კონტროლის ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები, საკვებწარმოებისა და საკვებსაღები ტექნიკის სპეციალისტები, რესპუბლიკური პრესის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის წარმომადგენლები.

დაწესებულია ორი გარდამავალი წითელი დროშა იმ გამარჯვებული რაიონებისათვის გადასაცემად, რომლებიც საკვების დასაბადებლად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიიღწევენ საუკეთესო მაჩვენებლებს.

რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, საქინფორმს დაევალათ სისტემატიურად გაამჟღერ საკვების დასაბადებლად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, პრობაგანდა გაუწიონ მოწინავეთა გამოცდილებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს რწმენა, რომ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმო-ორგანიზაციათა კოლექტივები კვლავაც იხელმძღვანელებენ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების დებულებებითა და დასკვნებით, და ყოველ ღონეს იზამენ, რათა წარმატებით შესრულდეს საკვები ბაზის შენდგომი განმტკიცებისა და მეცხოველეობის ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის ამოცანები. (საქინფორმი).

კოსმონავტები დედამიწას სწავლობენ

ფრანის მარშეის ცენტრი, 8 ივნისი. (სა„ედესი). ანატოლი ბერეზოვი და ვალერიან ლებედევი განგრძობენ დაგეგმილ „ვალეს „სალიუტ-7" — „სოიუზ ტ-5" ორბიტელ კომპლექსში.

ეკიპაჟის სამუშაოთა პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გეოფიზიკურ ექსპერიმენტებს, რომლებიც მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ინტერესებისათვის სრულდება. დედამიწის ზედაპირის დაკვირვებისა და ფოტოგრაფირებისა დროს კოსმონავტები იყენებენ სპეციალურადადაპტირებულ აპარატურას, „აგე-6 ბ და „ტუ-140 ფოტოაპარატებს. კოსმოსიდან სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა მდგომარეობის კვლევის მეთოდების დასახვეწად ეკიპაჟი ოპერატიულ ინფორმაციას აგროგრუპს მათს შესახებ ქვეყნის სხვადასხვა რაიონში.

ყველა წონა პილოტირებულმა ფრენამ ცხადყო, რაოდენ ეფექტიანია დედამიწის ზედაპირის დაკვირვება და ფოტოგრაფირება მისი სტრუქტურის ზოგად კანონზომიერებათა გამოსარკვევად. გეოლოგების დაკალმაში შესაბამისად „სალიუტ-7" სადგურის „ეკიპაჟი განაგრძობს დედამიწის ზედაპირზე მსხვილი რგოლური წარმონაქმნებისა და ნაპრალების კვლევას, რათა უფრო რაციონალურად დაიგეგმოს სასარგებლო წიაღისეულის ბუდობების ძიება. კოსმონავტები აგრეთვე თვალყურს ადევნებენ მსოფლიო ოკეანის აკვატორიას სამრე

სოციალისტური საზოგადოების დემოკრატია

ჩვენს ქვეყანაში ყველგან ფართოდ მიმდინარეობს დონის მიზნედვით საქართველოს ეკონომიკის ამ დარგში ეფექტის წარმოება. ეს ეფექტი ეფუძნება ადამიანის ინტელექტუალურ ენერგიას, ადამიანის ინიციატივას, ადამიანის ინტერესებს, ადამიანის ინტერესებს, ადამიანის ინტერესებს.

ეს ეფექტი, რომელიც მოწმობს, რომ ერთობლივად მოწყობილი მიმდინარეობს მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად, ამ ეფექტი, ეს ეფექტი, ეს ეფექტი, ეს

მშვიდობის ქოვლისმომცველი პროგრამა

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებთა კრებულის გამოცემის გამო

ულან-ბატორი. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო გამომცემლობამ მონღოლურ ენაზე გამოაქვეყნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი „მშვიდობისა და სოციალიზმის სადარჯოზე". წიგნში შეკრებილია ნაწერებიდები, რომლებიც წარმოიჩენენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თანამიმდევრულ, დაუცხრომელ ბრძოლას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის, იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, სოციალიზმის მონაპოვართა სიმაგრე დაცვის უზრუნველყოფისათვის.

მონღოლმა მკითხველებმა, განაცხადა გამომცემლობის მთავარმა რედაქტორმა ტ. სოდნომდორჯამ, ახალი კარგი შესაძლებლობა მიიღეს იმისათვის, რომ გაეცნონ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მრავალმხრივ მოღვაწეობას. საბჭოთა კავშირის — მთელ მსოფლიოში მშვიდობის სიმაგრეო დამცველის — ძლიერების განმტკიცებისათვის, მოძმე სოციალისტური სახელმწიფოთა მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებისათვის.

საერთაშორისო საზოგადოებრიობა ლ. ი. ბრეჟნევს იცნობს როგორც მშვიდობის, დაძაბულობის შენელებისა და ხალხთა უშიშროებისათვის თანამიმდევარ, დაუცხრომელ მებრძოლს. ბოლო ხანს მან წამოაყენა ახალი საშვიდობო ინიციატივები, რომლებიც, ისევე როგორც სკკპ XXVI ყრილობის მიერ გამოცხადებული 80-იანი წლების მშვიდობის პროგრამა, მიზნად ისახავს პლანეტის მოსახლეობის მშვიდი ცხოვრების უზრუნველყოფას, გამალებული შეიარაღების ალაგმვას. ბრძოლა ომის საშიშროების თავიდან აცილების. იზლანდელ პირობებში, როცა იმპერიალიზმის მილიტარისტულმა ფრეებმა, ულ უწინარეს ყოვლისა, იმპერიის შეერთებულმა შტატებმა, მკვეთრად გაამწვავეს საერთაშორისო ვითარება, საბჭოთა კავშირის მშ წინადადებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მონღოლი ხალხი მთლიანად უჭერს მათ მხარს.

ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებთა კრებულს, თქვა დასასრულ ტ. სოდნომდორჯამ, დიდი ინტერესით შეხვდნენ სახალხო მონღოლეთის მკითხველები. ეს კრებული კვლავ ცხადყოფს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის ურყეებობას, გვეჩვენებს, რომ დედამიწაზე დღესაც არ არის იმაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანა, ვიდრე მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება.

საერთაშორისო დეტალური ზურგზე

საკლესისა და ახალი ამბების საარგენტოს კორესპონდენტები გვაცყობინებენ

ფაქტები მოვლენები

9 ივნისი

მოლაპარაკება ჟენევაში

ჟენევა. აქ გაიმართა ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკებაზე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა პლენარული სხდომა.

ვითარება ჩადში

პარიზი. ნჯამენიდან მიღებული ფრანს პრესის ცნობებით, ჩრდილოეთის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსის მოადგილემ მაიორმა იდრის დებიმ ჩადის დედაქალაქის ალების შემდეგ კონტაქტი დაამყარა ჩადში ფრიკის ერთობის ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, აგრეთვე ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან ჯიდინგარ დონო ნგარდუმთან, რომელიც ამ დღეებში დაინიშნა ამ პოსტზე.

ჩვენ არ ვაპირებთ მოვითხოვოთ, რომ ქვეყნიდან გაიყვანონ ჩადში მშვიდობის დამცველი აფრიკის სახელმწიფოთა ძალები, თქვა მან პრესისათვის გაკეთებულ განცხადებაში. მაიორმა დებიმ გამოაცხადა, რომ ჩრდილოეთის შეიარაღებული ძალების შტაბის ხელმძღვანელობა აპირებს მოლაპარაკება აწარმოოს ჩადის ზოგიერთ პოლიტიკურ ძალებთან.

თავის მხრივ, როგორც ფრანს პრესის საააგენტო აღნიშნავს, ჩრდილოეთის შეიარაღებული ძალების შტაბის წარმომადგენელმა ევროპაში აამჟდ აფალმა გამოაცხადა სხვადასხვა დაჯგუფებების მონაწილეობით ქვეყანაში. დროებითი მთავრობის შექმნის გეგმები.

ავა წლის აპრილის დამდეგს ამერიკის სენატის საგარეო საქმეთა კომისია თეთრი სახლის წარმომადგენლის მორიგ ინფორმაციას ისმენდა ქვეყნის „ეროვნული უსაფრთხოების" თაობაზე. პრეზიდენტ რეიგანის ემისარი ორი საათის განმავლობაში გულმოდგინედ, მეჯი ფერებით ხატავდა საბჭოთა კავშირის და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის „სამხედრო ძლევამოსილების" სურათს, ვიდრე მოთმინებენადაკარგულმა სენატორმა გალეშმა მკვახედ არ შეუტია მომხსენებელს, „ჩვენ უკვე მაძღარნი ვართ ადმინისტრაციის აბსტრაქტული მოსახრებებით. აჯერად ფაქტები, მხოლოდ ფაქტები გვაინტერესებს".

დღევანდელ ამერიკაში, როგორც კამპანიოლიშმი, ისე მის ფარგლებს გარეთ, გალეში ერთადერთი როდია, უკვე ბადიზნაენები სკკპ-ის ეიფაზმით რომ რეგორგებს სამხედრო სფეროში ამერიკის „ჩამორჩენისა" და „შეუტია მომხსენებელ, „ჩვენ უკვე მაძღარნი ვართ ადმინისტრაციის აბსტრაქტული მოსახრებებით. აჯერად ფაქტები, მხოლოდ ფაქტები გვაინტერესებენ".

ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების (მათ შორის სამხედრო ხარჯების) დაფარვას ითვალისწინებს სამეიუჯეტო შემოსავალი. ეს არის პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები და ა. შ. მაგრამ ზმირად ეს საკმარისი არ არის და ასე წარმოიშობა სბიუჯეტო დეფიციტი, რაც მთავრობას სხვა ღონისძიებებთან ერთად აიძულებს სახელმწიფო სესხი აიღოს. ამერიკის შეერთებულ შტატებში სწორედ სამხედრო ხარჯების მოცულობამ განაპირობა უზარმაზარი დეფიციტიც და სახელმწიფო ვალიც (ტრილიონ დოლარზე მეტი). როგორც პრეზიდენტმა რეიგანმა ამას წინათ განაცხადა, ამ ვალის მხოლოდ პროცენტებში წელს 90 მილიონ დოლარს მიაღწევს.

ახალ საფინანსო წელს პენტაგონისათვის დაგეგმილია 226,3 მილიარდი დოლარი. სახელმწიფო ვალის პროცენტებთან ერთად კი არამწარმოებლური ხარჯები 316,3 მილიარდ დოლარს შეადგენს, მაშინ როდესაც მთავრობის სხვა დანარჩენი ხარჯები 695,5 მილიარდი დოლარია. ე. ი. ფედერალური ხარჯების 45,5 პროცენტი ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებულია სამხედრო ხარჯებთან.

ახლა რაც შეეხება ვერსიას, რომ გამოცემული შეიარაღება ზრდის დასაქმებას, ხოლო განიარაღება — უმუშევრობას, თვით პენტაგონის მონაცემებმი, 1961-1973 წლებში ცალკეული სამხედრო პროგრამების შეკვეცის გამო სამუშაო დაკარგა 82 ათასმა კაცმა, ხოლო გამოთავისუფლებული თანხით დასაქმეს 162 ათასი კაცი. ავტორიტეტული საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ახალი სპარეგო და საშინაო პოლიტიკისათვის მებრძოლი კოალიციის" მონაცემებით, 70-იანი წლების პირველ ნახევარში სამხედრო წარმოებაში ერთ მილიარდ დოლარზე 900 ათასი კაცი კარგავდა სამუშაოს, ხოლო . მეორე ნახევარში — 1300 ათასი.

ეი ასეთია ფაქტები, რომელთა დამაფაც დღეს უკვე შეუძლებელია.

კონგრესის პოზიცია ახალი საფინანსო წლის ბიუჯეტის პროექტის მიმართ შეიძლება თავიანსებურ ბარომეტრად მივიჩნიოთ, რომელიც ქარიშხალს თუ არა, უამინდობას (მაინც მოასწავებს რეიგანის აღმინისტრაციისათვის. გავიხსენოთ, რომ თავის დროზე კარტერმა იოლად შეძლო კონგრესში ფაქტი თავისი სამი ბიუჯეტის დამტკიცება, ხოლო რეიგანმა მხოლოდ ერთი ბიუჯეტი მიაღწია კონგრესს შეუსწორებლად.

ზარშან დეკემბერში „ნიუიორკ ტაიმსში" გამოქვეყნებულ წერილში, რომელშიც სასტიკად იყო გაკრიტიკებული რეიგანის საგარეო პოლიტიკა, სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილე ბოლი თავის თავზე და საერთოდ აშერიკელებზე წერდა: „ეიმედოვნებ, რომ ოდესმე ჩვენც შევალთ სიმწიფის ხანაში, თუმცა, როგორც მეჩვენება, ამას დიდი დრო დასჭირდებაო, თუ მხედველობაში მივიღებთ ამერიკის ფართო საზოგადოებრივის პოლიტიკური პასუხისმგებლობის გრძნობისა და პოლიტიკური აქტიურობის სწრაფ ზრდას, შეიძლება შევედავოთ კიდეც ბოლს პესიმისტური პროგნოზისათვის — ამერიკელთა „სიმწიფის ხანა" უკვე დგება. სხვა საკითხია, რომ პარალელურად აღინიშნება მეორე პროცესიც — ძალთა პოლარიზაცია, „მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ძალთა თანაფარდობაში სულ უფრო მეტად იმარჯვებს საღი გონება. ბირთვულ ხანაში ხომ სხვა ალტერნატივა არც არსებობს.

ს. ცინცაძე,
„კომუნისტის" პოლემიკური მიმომხილველი.

„ფაქტები, მხოლოდ ფაქტები!.."

კონგრესმენებს, ცნობილ მეცნიერებსა და თადარიგის გენერლებს. განს ნიშანდობლივი ფაქტი არ არის, რომ განიარაღებისათვის მებრძოლებს თავისი ხმა შეუერთა ნეტრონული იარაღის „მამამ" კოენმაც?

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კონგრესმენთა გაკვეთრება. იმავე ჩიკაგოში, ფედერალ-პლაზის „მოედანზე" შეკრებილ 30-ათასიან დემონსტრაციას წარმომადგენელთა პალატაში ჩიკაგოს ერთ-ერთი ოლქის წარგზავნილმა ჯოროლ ვანნეგტონმა ასეთი სიტყვებით მიმართა: „ჩვენ არ გვჭირდება რაკეტები. რაც ჩვენ ნამდვილად გვაკლია — ეს არის საშვილი და სამშვილი ჩვენი ხალხისათვის".

„მომოხდდეთ ორგალვ. ჩვენ მოელი ამერიკის საზოგადოებრიობას. წარმოვადგენთ, ჩვენ ყველანი ერთად ვართ" — კათოლიკე მოძღვრის ტრეისი ოსალიენის ეს სიტყვები ბიბლიის ციტატა როდია,ეს რეალური ფაქტია. ყველას და ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, რამ მიიყვანა ომის მოწინააღმდეგე დემოსტრატთა ოიგებში წყობიერების ერთიანული დამცველის რეპუტაციის მქონე კანონმდებლი? უპირველეს ყოვლისა, ჩვენ მხედველობაში გვყავს ისინი, ვინც გუშინ უდრტვინველად აძლევდა ხმას კაპიტოლიუმში ადმინისტრაციის საბჭიო ბიუჯეტის ზრდას. ცხადია, საზოგადოებრივი აზრის ტკვეთრმა ტრანსფორმაციამ, რაც, თავის მხრივ, ბირთვული აკანტიერის საფრთხის შეგნების ზრდის პირდაპირი შედეგია. არც იმის უგულებელყოფა შეიძლება, რომ მიმდინარე წლის შემოდგომაზე კონგრესის არჩევნებია დანიშნული და როდესაც დადგება „წიწილების დათვლის" დღე, ამბრჩეველთა უმრავლესობა სწორედ განიარაღების საკითხში დაკავებულ პოზიციას ჩაუთვლის აქტივსა თუ პასივში ქვეყნის თავკერ საკანონმდებლო ორგანოში თავის წარმომადგენელს. ერთი სიტყვით, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფა ძალზე საბიფათო ექსპერიმენტია.

აღმინისტრაციისათვის ავისმომზადებული კიდევ ერთი ფაქტი — ამ ცოტა ხნის წინათ სენატის საბიუჯეტო კომისიამ ერთხმად უარყო 1983 საფინანსო წლის ბიუჯეტის პროექტი. ოფიციალურ ინსტანციებში ფიქრობენ, ეს ფაქტი ბოლო ბოლოს ალიარებულია რეკონდიციონერ დეფიციტ (სპეციალისტთა აზრით, „იგი 180 მილიონ დოლარს მიაღწევს), რაც თავის მხრივ ასევე რეკორდული სამხედრო ხარჯებით ერის განპირობებული. აქ უკვე საქმეს ვეღარ უშველა დემაგოგიამ, თითქოს სამხედრო ხარჯები უფუშეკრობას ამცირებდეს და სამხედრო სფეროში დაბაზდებული ყოველი მილიარდი დოლარი 40 ათას სამუშაო ადგილს ნიშნავდეს. ასეთია ოფიციალური ვერსია, მაგრამ როგორია ფაქტები?

ამერიკის შეერთებულ შტატებში (ისევე როგორც ნებისმიერ კაპიტალისტურ ქვეყანაში) სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მუხლია სწორედ სხეიდრეობანი. ამ ასიგნებათა თანხას, ბიუჯეტის სტრუქტურის ფორმალურად ყველაგან მთავრობა და პარლამენტი განსაზღვრავენ, სინამდვილეში კი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის კარნახით ადგენენ.

ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების (მათ შორის სამხედრო ხარჯების) დაფარვას ითვალისწინებს სამეიუჯეტო შემოსავალი. ეს არის პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები და ა. შ. მაგრამ ზმირად ეს საკმარისი არ არის და ასე წარმოიშობა სბიუჯეტო დეფიციტი, რაც მთავრობას სხვა ღონისძიებებთან ერთად აიძულებს სახელმწიფო სესხი აიღოს. ამერიკის შეერთებულ შტატებში სწორედ სამხედრო ხარჯების მოცულობამ განაპირობა უზარმაზარი დეფიციტიც და სახელმწიფო ვალიც (ტრილიონ დოლარზე მეტი). როგორც პრეზიდენტმა რეიგანმა ამას წინათ განაცხადა, ამ ვალის მხოლოდ პროცენტებში წელს 90 მილიონ დოლარს მიაღწევს.

ახალ საფინანსო წელს პენტაგონისათვის დაგეგმილია 226,3 მილიარდი დოლარი. სახელმწიფო ვალის პროცენტებთან ერთად კი არამწარმოებლური ხარჯები 316,3 მილიარდ დოლარს შეადგენს, მაშინ როდესაც მთავრობის სხვა დანარჩენი ხარჯები 695,5 მილიარდი დოლარია. ე. ი. ფედერალური ხარჯების 45,5 პროცენტი ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებულია სამხედრო ხარჯებთან.

ახლა რაც შეეხება ვერსიას, რომ გამოცემული შეიარაღება ზრდის დასაქმებას, ხოლო განიარაღება — უმუშევრობას, თვით პენტაგონის მონაცემებმი, 1961-1973 წლებში ცალკეული სამხედრო პროგრამების შეკვეცის გამო სამუშაო დაკარგა 82 ათასმა კაცმა, ხოლო გამოთავისუფლებული თანხით დასაქმეს 162 ათასი კაცი. ავტორიტეტული საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ახალი სპარეგო და საშინაო პოლიტიკისათვის მებრძოლი კოალიციის" მონაცემებით, 70-იანი წლების პირველ ნახევარში სამხედრო წარმოებაში ერთ მილიარდ დოლარზე 900 ათასი კაცი კარგავდა სამუშაოს, ხოლო . მეორე ნახევარში — 1300 ათასი.

ეი ასეთია ფაქტები, რომელთა დამაფაც დღეს უკვე შეუძლებელია.

კონგრესის პოზიცია ახალი საფინანსო წლის ბიუჯეტის პროექტის მიმართ შეიძლება თავიანსებურ ბარომეტრად მივიჩნიოთ, რომელიც ქარიშხალს თუ არა, უამინდობას (მაინც მოასწავებს რეიგანის აღმინისტრაციისათვის. გავიხსენოთ, რომ თავის დროზე კარტერმა იოლად შეძლო კონგრესში ფაქტი თავისი სამი ბიუჯეტის დამტკიცება, ხოლო რეიგანმა მხოლოდ ერთი ბიუჯეტი მიაღწია კონგრესს შეუსწორებლად.

ზარშან დეკემბერში „ნიუიორკ ტაიმსში" გამოქვეყნებულ წერილში, რომელშიც სასტიკად იყო გაკრიტიკებული რეიგანის საგარეო პოლიტიკა, სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილე ბოლი თავის თავზე და საერთოდ ამერიკელებზე წერდა: „ეიმედოვნებ, რომ ოდესმე ჩვენც შევალთ სიმწიფის ხანაში, თუმცა, როგორც მეჩვენება, ამას დიდი დრო დასჭირდებაო, თუ მხედველობაში მივიღებთ ამერიკის ფართო საზოგადოებრივის პოლიტიკური პასუხისმგებლობის გრძნობისა და პოლიტიკური აქტიურობის სწრაფ ზრდას, შეიძლება შევედავოთ კიდეც ბოლს პესიმისტური პროგნოზისათვის — ამერიკელთა „სიმწიფის ხანა" უკვე დგება. სხვა საკითხია, რომ პარალელურად აღინიშნება მეორე პროცესიც — ძალთა პოლარიზაცია, „მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ძალთა თანაფარდობაში სულ უფრო მეტად იმარჯვებს საღი გონება. ბირთვულ ხანაში ხომ სხვა ალტერნატივა არც არსებობს.

ს. ცინცაძე,
„კომუნისტის" პოლემიკური მიმომხილველი.

ჭადრაკის დაფებთან

იტალია ქალაქ ტურინში მიმდინარე ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრების მესამე ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ანდეოსონს (შვეცია) კარპოვთან და ალავლეკთან (აშშ) დაუმთავრებელი პარტიები ჰქონდა. ამერიკელმა თამაშში განუახლებლად დაუთმო შეხვედრა. კარპოვმა და ანდერსონმა კიდევ 19-19 სვლა გააკეთეს და ყაიმზე შეთანხმდნენ. სამი ტურის შემდეგ 2-2 ქულით ლიდერობდნენ ანდეოსონი და ჰიუბნერი (გფრ).

კისლოვოდსკი გრძელდება გუნდური ასპარეზობა სსრ კავშირის თასზე. ხუთი ტურის შემდეგ დაწინაურდა „ტოუდი" — 28 ქულა (5 გადადებული პარტია). მომდევნო ადგილებზე არიან შეიარაღებული ძალების ნაკრები — 26,5 (6) „ქარიშხალა" — 24 (6), „ლოკომოტივი" — 23,5 (3). „დინამო" — 21,5 (7), „ზენიტი" — 20 (5), „სპარტაკი" — 18,5 (7), „ეროვნული" — 17 (3). აღსანიშნავია ცალკეულ დაფებზე საქართველოს მოქალაქეთა შედეგები. მერე დაფაზე თამაშობდნენ ნონა გაფრინდაშვილი (შეიარაღებული ძალები) და მაია ჩიბურდანიძე („დინამო"). ოთხი ტურის შემდეგ პირველმა 4 ქულა დაგროვა, მეორემ — 2,5. მეცხრე დაფაზე თ. ხუციშვილ („ზენიტი") 2,5 ქულა აქვს. მას ნახევარნახევარი ქულით უსწრებენ ე. ახმილოვსკაია („ქარიშხალა") და ი. ლევიტინა („დინამო") (შეიარაღებული ძალები). სათადარიგოა ე. გუფელი („დინამო"), რომელმაც მეტოქეებთან შეხვედრებში 3 ქულა აიღო.

ახალციხე ქალაქ შექიში დაშთავრდა პიონერთა საკავშირო შეჯიბრება „თეთრი ტეტი". გიმნაზიკვეს ჩელიაბინსკელმა მოქალაქეებმა. მეორე ადგილი დაიკავეს ლენინგრადელებმა, მესამე — მოსკოველებმა.

რეგბისტთა საკავშირო...

მოსკოვში გრძელდება რეგბისტრთა საკავშირო ჩემპიონატი. შეჯიბრების მეცხრე ტურის მატჩები. „ლანჩოთის „ბურევა" მიიღო როსტოვის ასკ და დამარცხა ანგარიშით 2:1. მოსკოვის „ლოკომოტივი" ლიდერია, მან 21 ქულა დააგროვა. 14-14 ქულა აქვთ „ბურიას", „ბამირს", „ისკრას", ასკ-„ყარაბაღს", ოდესისა და ხაბაროვსკის არმიელთა გუნდებს და ისინი გათამაშების ცხრილში მეთვე-მეთხუთმეტე ადგილებს იკავებენ.

ვლადივოსტოკი. ბელგიისა და საფრანგეთის პროფესიონალ ბ ი ს ტრასსებზე დამთავრდა ვლადივოსტოკელ ქალთა რბოლა, რომელიც პროლოგობა და სამი ეტაპისაგან შედგებოდა. სამივე საპრიზო ადგილი დაიკავეს საბჭოთა სპორტსმენებმა ტ. კოლესნიოვამ გ. ცარიოვამ და ი. ბელანმა.

იტალია გზებზე დამთავრდა ვაჟთა მრავალდღიანი ველოსიპედი „ჯირო დ ბრეეა". შესაბამისად პირველ-მეორე ადგილები მოიპოვეს სბკ-ოთა სპორტსმენებმა ს. ვორონინმა და ს. პრიბილმა. გუნდური გამარჯვებაც ჩვენია.

ავსტრია გზებზე კი გრძელდება ვაჟთა მრავალდღიანი ველოსიპედი. მეშვიდე ეტაპი (150 კმ) მოიგო ს. კოპარინმა (სსრ კავშირი). მან ქალაქ ლინციდან დრობლაბამდე გადაკიმეულ დისტანციას 3 საათი, 30 წუთი და 1 წამი მოანდომა.

მადატანი ტანვარჯიში. იაპონიაში დასრულდა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც პირველობა მოიპოვა 17 წლის ბულგარელმა ლილია იგნატოვამ — 39,05 ქულა. მისი თანამემამბადეგე, მსოფლიოს ამსოლუტური ჩემპიონი ანგელია რალენკოვა კი მეორე იყო — 38,65 საბჭოთა სპორტსმენებმა გალინა ბელოგლაზოვამ და ნატალია ბურჩიკინამ შესამე-მეოთხე ადგილები დაიკავეს (შესაბამისად 37, 75 და 37, 70 ქულა).

ფრანგეთი. გრძელდება სსრ კავშირის ქალთა ნაკრების ტურნე ინამონაში. აქ მთ ამ ქვეყნის ნაკრებთან შესამე ამხანაგური შეხვედრა გამართეს და რეგორც ეინიერ ანგარიშით 0:3 წააგეს.

რედაქტორი
გ. ბედნიერიშვილი

ინგლის-არგენტინის კონფლიქტი

ბუენოს-აირესი. არგენტინის „ეროვნულმა ფ. ალტეერინმ წერილი გაუგზავნა გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ხ. პერეს დე კუელარს, რომელშიც სთხოვს გაჩერძოს მეცადინეობა ინგლისა-არგენტინის კონფლიქტის შვიდმაინი მოწესრიგების მიღწევამდე. ინგლისელ პრეზიდენტ ეს. ბარი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამუამავლო ორგანიზაციის ჯერ კიდევ შუქმდინ სამხედრო მოქმედების შეჩერებაზე სამხრეთ ატლანტიკაში, ბუენოს-აირესში ამ ქალაქ-ინგლისის ოთხიე სკერის.

ყველიანის დღისასწაულზე ფაქტიურად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. ბერიშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. ბურჭულიძე. (საქინფორმი).

ფოტოფაქტი

შეფყდეს კოლონიური ომი!

ნიუ-იორკში გაიმართა მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია სამხრეთ ატლანტიკაში დიდი ბრიტანეთის აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ. მიხმა მონაწილეებმა გულისწყრომა გამოთქვეს მ. ტატჩერის კონსერვატიული მთავრობის პოლიტიკის გამო, რომელიც ცდილობს იარაღით ალადგინოს ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების კოლონიური სტატუსი. დემონსტრანტებმა მოითხოვეს დაუყოვნებლივ გაიყვანონ კონფლიქტის რაიონი დ ინგლისის ჯარები.

● ●

სურათზე: დემონსტრაციის დრო.

იუპი-საკდესის ფოტო.

აგრესია ფართოვდება

ბეირუთი. ისრაელის მხედრობი აფარ-თოებს ლიბანისა და პალესტინის წინააღმდეგ ბის საწინააღმ დ ე გ ო ბარ-ბარობსელი აგრესიის მასშტაბს. როგორც „პალესტინის საააგენტო ვიფა იუწყება, ლიბანის მიწაზე საკვალილისა და ნგრეკვის მთელი ველი ისრაელის საინტერვენციო ჯარების რაოდენობამ 50 ათასს მიაღწია. ბოლო დღეებს მანძილზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროებითი ძალების სარდლობის ცნობით, მარტო ნაბათიის რაიონში დამატებით გადაყვანილია ისრაელის 70 ტანკი და 123 ჯავშანტრანსპორტიორი.

ისრაელის ჯარები გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდება, ცხარე ბრძოლები მიმდინარეობს ქალაქ ტიროსის შემოგარენში და საიდის გარშემო მდებარე მაღლობებზე. განვლილ ღამეს პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობისა და ეროვხულ-ჯატიტიტული ძალების გაერთიანებულმა რაზმებმა ისრაელები უკაგდეს საიდის სამხრეთ და ჩრდილოეთ მისადგომებიდან, მიუხედავად იმისა, რომ ლიბანის სანაპიროს ინტენსიურად უშენდნენ ცეცხლს ისრაელის სამხედრო ხომალდები.

მაგრამ აგრესორმა მოახერხა მედესანტების გადასხვა ადგილ რიგ რაიონებში და ხელო" იგდო ქალაქები ნაბათია და ჯასბაია, დასავლეთი, ცენტრალური და აღმოსავლეთი მიმართულებებით ისრაელის სატანკო კოლონები კვლავ წინ მიიწევენ ლიბანის ტერიტორიის სიღრმეში. ისრაელის ავიაცია განუწყვეტლივ ბომბავს ლიბანის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებს, დაბომბილ ქალაქი საიდა და პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკი აინალ-ჰილვე. მშვიდობიან მოსახლეობაში ბევრი მსხვერპლია. საიდაში ბომბები პირდაპირ მოხვდა ლიბანის არბილ ბარაკებს.

ვაფაა საააგენტოს მონაცემებით, აგრესორებს დაუზოცეს და დაუჭრეს 400 კაცი. განადგურებულია 50 ტანკი, 40 ჯავშნისანი მანქანა, 5 თვითმფრინავი და ვერტმფრინავი.

ბეირუთში გაიმართა ლიბანის მთავრობის ორი საგანგებო სხდომა, რომლებზეც განიხილეს ქვეყნის ვითარება. ისრაელის აგრესიის მოგერიებისა და დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების გაწევის ღონისძიებანი.

ლიბანისა და პალესტინის წრეებში დიდი კმაყოფილებით აღიქვეს საკდესის განცხადება, რომელშიც ნ. ფ. ენენდი", რომელზეც იმყოფება დაახლოებით 5 ათასი სამხედრო მოსამსახურე და 90 თვითმფრინავი.

თუმცა წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ ეს აქცია ვაშინგტონმა წამოიწყო ლიბანიდან სამოქალაქო მოსახლეობის „ევაკუაციის" შემოხვევისათვის, მისი ავისმომამაწვავებელი ხასიათი ეჭვს არ იწვევს.

უკანასკნელი საათს

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო სასწრაფოდ შეიკრიბა ლიბანის წინააღმდეგ ისრაელის სულ უფრო მზარდი აგრესიის განსახილველად. წინათ მიღებული რეზოლუციები, რომლებიც მოუწოდებდნენ ტელ-ავივს გაიყვანა ჯარი ლიბანის ოკუპირებული რაიონებიდან და შეეწყვიტა ცეცხლი, უგულებელყო გათავხედებულმა აგრესორმა.

მეზობელი ქვეყნის წინააღმდეგ ისრაელის მხედრობის უანალური აქციის მასშტაბი გაიცნო უშიშროების საბჭოს სხდომას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ხ. პერეს დე კუელარმა.

ლიბანის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გ. ტუენის განაცხადა, რომ საფრთხე ექმნება მისი ქვეყნის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობას.

ნაშრომი ეკონომიკურ ამოცანებზე

ახლახან „საბჭოთა საქართველოში" გამოსცა ფიროფესორ ლ. ჩიქავას ნაშრომი „მეთერთმეტე ხუთწლედის ძირითადი ამოცანები და მათი განხორციელების გზები".

წიგნში სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით განხილულია მთლიანად ქვეყნისა და ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი ამოცანები მეთერთმეტე ხუთწლედში და 1990 წლამდე პერიოდში.

ნაშრომის პირველ თავში დახასიათებულია ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი შედეგები მეათე ხუთწლედში, მისი წინსვლის ტემპი და მასშტაბები. ავტორი მდიდარი ფაქტობრივი მასალით დამაჯერებლად გვიჩვენებს ჩვენი ქვეყნის მიღწეულ წარმატებებს, მეურნეობის სოციალისტური სისტემის გადამწყვეტ უპირატესობას კაპიტალისტური წარმოების პირობებთან შედარებით, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ეკონომიკის განუხრელი, სწრაფი ტემპებით ზრდა-განვითარებას.

წიგნში ფართოდ და ღრმად არის გაანალიზებული ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მომხდარი მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრები პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების მიღების შემდეგ, ნაჩვენებია თუ რა წარმატებებს მიაღწია რესპუბლიკამ უკანასკნელ ათწლეულში. ამასთან ავტორი გვერდს არ უვლის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს, აანალიზებს მათ ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზებს, აგრეთვე გამოუყენებელ რეზერვებს, რომელთა გამოვლენა და ამოქმედება მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს ჩვენი წინსვლის დაჩქარებას.

ავტორი მდიდარი სტატისტიკური და ფაქტობრივი მასალის მოშველიებით თვალსაზრისე გვიჩვენებს იმ ამოცანების მასშტაბურობასა და სირთულეს, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობამ დასახა მეთერთმეტე ხუთწლედისათვის და მთლიანად მომავალი ათწლეულისათვის. ცალკე პარაგრაფები ეძღვნება მრეწველობის, აგროსამეურნეო კომპლექსის, ტრანსპორტისა და კავშირგამაღლობის, კაპიტალური მშენებლობის საკითხებს, აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების პრობლემებს. ნაშრომში გამოკვეთილად არის ნაჩვენები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გადამწყვეტი როლი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის დაჩქარებულ განვითარებაში.

წიგნის მეორე თავში დინჯულია სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამა, ამ პროგრამის ძირითადი ასპექტები და მისი განხორციელების კონკრეტული მიმართულებანი.

ავტორი აანალიზებს პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის „უმაღლეს მიზანს, ასაბუთებს ხალხის კეთილდღეობის მნიშვნელოვანი ამაღლებისაკენ ჩვენი სახალხო მეურნეობის კვეთრი შემობრუნების აუცილებლობას და შესაძლებლობას მიმწიფებული სოციალიზმის პირობებში. ამასთან კონკრეტულად განიხილავს იმ ცვლილებებს, რომლებიც ხდება ხალხის კეთილდღეობის კვეთრი გაუმჯობესებისათვის პარტიის მიერ აღებული კურსის შესაბამისად სახალხო მეურნეობისა და ეროვნული შემოსავლის სტრუქტურაში, რაც ნაწილობრივ — ამ უკანასკნელში მოხმარების ფონდის ხვედრითი წილის ზრდით ისახება.

ავტორი ნაშრომში ყურადღებას ამახვილებს პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ფონდთ



თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს მიღებას 1982—1983 სასწავლო წლისათვის

დღის განყოფილება

1. მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. სპეციალობა — მათემატიკა, (სპეციალიზაციები: ფუნქციათა თეორია, დიფერენციალური განტოლებანი, ალგებრა და რიცხვთა თეორია, გეომეტრია და ტოპოლოგია, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, გამოთვლითი მათემატიკა. მათემატიკური ფიზიკის განტოლებანი, დრეკადობის თეორია, ჰიდროდინამიკა, ასტრონომია);

2. კიბერნეტიკისა და გამოთვლითი მათემატიკის ფაკულტეტი. სპეციალობა — გამოყენებითი მათემატიკა (სპეციალიზაციები: ელექტრონული გამომთვლელი მანქანების მათემატიკური უზრუნველყოფა, გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენება, მართვის ავტომატიზებულ სისტემათა მათემატიკური უზრუნველყოფა);.

3. ფიზიკის ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) ფიზიკა (სპეციალიზაციები: თეორიული ფიზიკა, ბირთვული ფიზიკა, მაღალი ენერგიების ბირთვული ფიზიკა, ექსპერიმენტული ფიზიკა, გეოფიზიკა, ბიოფიზიკა, ფიზიკური ჰიდროდინამიკა, კვანტური ელექტრონიკა (კვანტური გენერატორები და ჰოლოგრამფია), ატომოფიზიკა, ფიზიკა), ბ) რადიოფიზიკა და ელექტრონიკა (სპეციალიზაციები: კვანტური რადიოფიზიკა, რადიოიმზომელობა) გ) ნახევარგამტარები და დიელექტრიკები (სპეციალიზაციები: ნახევარგამტარებისა და დიელექტრიკების ფიზიკა, მიკროელექტრონიკა);

4. ქიმიის ფაკულტეტი. სპეციალობა — ქიმია (სპეციალიზაციები: არაორგანული ქიმია, ანალიზური ქიმია, ორგანული ქიმია, ფიზიკური ქიმია, მაღალმოლეკულური ნაერთთა ქიმია, ქიმიური კინეტიკა);

5. გეოგრაფია-ეკოლოგიის ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) გეოგრაფია (სპეციალიზაციები: ეკონომიკური გეოგრაფია, ფიზიკური გეოგრაფია, გეომორფოლოგია, კარტოგრაფია, ნიადაგების გეოგრაფია და ნიადაგმცოდნეობა, ოკეანოლოგია, მხარეთმცოდნეობა და საექსკურსიო საქმის ორგანიზაციის მეთოდიკა), ბ) მეტეოროლოგია (სპეციალიზაცია: ჰმელეთის ჰიდროლოგია), გ) წიაღისეული საბადოების ძებნა-ძიების — გეოფიზიკური მეთოდები, დ) გეოლოგიური ალგებრა და წიაღისეული საბადოების ძებნა-ძიება;

6. ბიოლოგიის ფაკულტეტი. სპეციალობა — ბიოლოგია (სპეციალიზაციები: ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია, მცენარეთა ფიზიოლოგია, ბოტანიკა, ზოოლოგია, ბიოქიმია, ბიოფიზიკა, გენეტიკა და სელექცია, ციტოლოგია, მიკრობიოლოგია და იქთიოლოგია);

7. ისტორიის ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) ისტორია (სპეციალიზაციები: სკკპ ისტორია, მეცნიერული კომუნიზმი, სსრკ ხალხთა ისტორია, საქართველოს ისტორია, ძველი და შუა საუკუნეების ისტორია, ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორია, აზიის და აფრიკის ახალი და უახლესი ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია), ბ) ხელოვნებათა ისტორია;

8. ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) ფილოსოფიან, ბ) ფსიქოლოგია;

9. ფილოლოგიის ფაკულტეტი. სპეციალობანი. ა) ქართული ენა და ლიტერატურა (სპეციალიზაციები: კავკასიური ენები, კლასიკური ფილოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა, სსრკ ხალხთა ლიტერატურა და მხატვრული თარგმანი, ფოლკლორისტიკა, ტექსტოლოგია), ბ) რუსული ენა და ლიტერატურა;

10. ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. სპეციალობა — ჟურნალისტიკა (სპეციალიზაციები: ლიტერატურული მუშაობა გაზეთებსა და ჟურნალებში, ლიტერატურული მუშაობა რადიომაუწყებლობაში, ლიტერატურული მუშაობა ტელევიზიაში).

11. დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) ინგლისური ენა და ლიტერატურა, ბ) გერმანული ენა და ლიტერატურა; გ) ფრანგული ენა და ლიტერატურა;

12. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) აღმოსავლური ენები და ლიტერატურა, ბ) საზღვარგარეთის აღმოსავლეთის ქვეყნების ქვეყანათმცოდნეობა;

13. ეკონომიკის ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) პოლიტიკური ეკონომია, ბ) ფინანსები და კრედიტი, გ) სტატისტიკა.

14. საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი. სპეციალობანი: ა) მანქანათმშენებელი მრეწველობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, ბ) მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, გ) ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზებული მართვა-ბიბლიოთეკა, დ) ეკონომიკური ინფორმაციის ავტომატიზებული ორგანიზაცია, ე) საინჟინრო-ეკონომიკური ინფორმაციის ავტომატიზებული ორგანიზაცია, ვ) ეკონომიკური ინფორმაციის ავტომატიზებული ორგანიზაცია, ზ) ეკონომიკური ინფორმაციის ავტომატიზებული ორგანიზაცია, (